საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030149552854314

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 251 15 05;
ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/85605 **23 / ოქტომბერი / 2014 წ.**

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 384
თარიღი: 28 10 2014 წ.

ააიპ საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)
დირექტორს,
ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

მიმდინარე წლის 6. ოქტომბრის თქვენი N695 წერილის პასუხად, რომელიც ეხება საპენსიო უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე საჯარო ინფორმაციის მოწოდებას, გაცნობებთ, რომ 2015 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით პენსიის სავარაუდო ზრდასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონპროექტის პირველადი ვერსიის განხილვის შემდეგ აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ბიუჯეტის პროექტის კორექტირებაზე, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით. შესაბამისად, ასაკით პენსიის ზრდისა და კონკრეტული მაჩვენებლების შესახებ ცნობილი გახდება 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიის განხილვისას.

2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, სახელმწიფო პენსიას იღებს 696197 ბენეფიციარი. რაც შეეხება, 2015 წლის განმავლობაში სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რაოდენობას, სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზის ინფორმაციის თანახმად, 2015 წელს გასაცემლის მიღების უფლებას –საპენსიო ასაკის მიღწევის გამო, მოიპოვებს 52892 მოქალაქე. მათი მხრიდან, სახელმწიფო პენსიის დანიშნულად მომართვის შემთხვევაში, სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რაოდენობა მოიმატებს ზემოაღნიშნული რაოდენობით.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ღონისძიებათა დაგეგმვისა და
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამმართველოს უფროსი

სოფიო უმიკაშვილი